ინგლისური ორიგინალის თარგმანი

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია
B კრედიტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
31 დეკემბერი 2025

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა i
მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის 4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის 6
1. ზოგადი ინფორმაცია 8
2. საქართველოს ბიზნეს გარემო 8
3. ანგარიშგების მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა 8
3.1 ანგარიშგების მომზადების საფუძველი 8
4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 16
5. საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები 17
6. საოპერაციო ხარჯები 17
7. წმინდა მოგება/(ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან 17
8. მოგების გადასახადის ხარჯი 17
9. ფული და ფულის ეკვივალენტები 18
10. ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით 18
11. ვადიანი დეპოზიტები 18
12. გაცემული სესხები 19
13. არამატერიალური აქტივები 20
14. ძირითადი საშუალებები 21
15. მიღებული სესხები 21
16. ფინანსური რისკები 22
17. პირობითი ვალდებულებები 27
18. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 29
19. კაპიტალის მართვა 30
20. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები 31

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „B კრედიტის“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „B კრედიტის” (შემდგომში - „მისო“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგებები, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს მისოს ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს სტანდარტები“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესსს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს „ბესსს“-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია მისოს ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2025 წლის მმართველობის ანგარიშში, რომელიც მოვიპოვეთ აუდიტორის დასკვნის თარიღამდე.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე (სხვა ინფორმაციაზე).

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობის შედეგად გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული დასკვნა მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა არ არის გარანტია იმისა, რომ „ასს“-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლის ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

„ასს“-ს შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობა, რადგან თაღლითობა შესაძლოა გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს არა იმიტომ, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე, არამედ დავგეგმოთ კონკრეტულ გარემოებაზე მორგებული აუდიტორული პროცედურები.

ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მათ მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება.

ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სამეთვალყურეო საბჭოს ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს არესემ საქართველოს (Reg. # SARAS-F-279563) სახელით

გარიგების პარტნიორი: ალი მურტზა (Reg. # SARAS-A-577214)

2026 წლის 6 მარტს

თბილისი, საქართველო

RSM Georgia

85, Z. Paliashvili str
Tbilisi 0162, Georgia

T: +995 (32) 255 88 99
Email: mail@rsm.ge

www.rsm.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „B კრედიტის“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „B კრედიტის” (შემდგომში - „მისო“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგებები, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს მისოს ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს სტანდარტები“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესსს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს „ბესსს“-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია მისოს ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2025 წლის მმართველობის ანგარიშში, რომელიც მოვიპოვეთ აუდიტორის დასკვნის თარიღამდე.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე (სხვა ინფორმაციაზე).

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

RSM Georgia LLC. is a member of the RSM network and trades as RSM. RSM is the trading name used by the members of the RSM network. Each member of the RSM network is an independent accounting and consulting firm, which practices in its own right. The RSM network is not itself a separate legal entity in any jurisdiction.

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2025	2024
საპროცენტო შემოსავალი	5	659,240	787,263
საპროცენტო ხარჯი	5	(351,837)	(366,494)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**307,403**	**420,769**
სესხების გაუფასურების ანარიცხი	12	18,233	53,465
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხების		**325,636**	**474,234**
საოპერაციო ხარჯები	6	(330,444)	(319,211)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		15,399	25,600
უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან მიღებული წმინდა	7	6,254	(19,819)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		**16,845**	**160,805**
მოგების გადასახადის (ხარჯი)/სარგებელი	8	-	-
წლის ზარალი		**16,845**	**160,805**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მოგება/(ზარალი)		**16,845**	**160,805**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2026 წლის 6 მარტს.

ვახტანგ დაბახიშვილი დირექტორი _____

დავით შაფაქიძე ბუღალტერი _____

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2025	2024
საპროცენტო შემოსავალი	5	659,240	787,263
საპროცენტო ხარჯი	5	(351,837)	(366,494)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**307,403**	**420,769**
სესხების გაუფასურების ანარიცხი	12	18,233	53,465
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხების		**325,636**	**474,234**
საოპერაციო ხარჯები	6	(330,444)	(319,211)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		15,399	25,600
უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან მიღებული წმინდა	7	6,254	(19,819)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		**16,845**	**160,805**
მოგების გადასახადის (ხარჯი)/სარგებელი	8	-	-
წლის ზარალი		**16,845**	**160,805**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მოგება/(ზარალი)		**16,845**	**160,805**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2026 წლის 6 მარტს.

ვახტანგ დაბახიშვილი — დირექტორი

დავით შაფაქიძე — ბუღალტერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნაა	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	481,052	634,306
ვადიანი დეპოზიტი	11	-	1,164,822
ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით	10	1,136,244	-
გაცემული სესხები	12	3,021,806	2,861,034
სხვა აქტივები		54,025	38,747
არამატერიალური აქტივები	13	4,904	11,404
ძირითადი საშუალებები	14	6,975	5,554
სულ აქტივები		**4,705,006**	**4,715,867**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,717,380	1,717,380
დაგროვილი ზარალი		(609,612)	(626,457)
სულ კაპიტალი		**1,107,768**	**1,090,923**
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	15	3,540,811	3,562,371
სხვა ვალდებულება		56,427	62,573
სულ ვალდებულებები		**3,597,238**	**3,624,944**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**4,705,006**	**4,715,867**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2026 წლის 6 მარტს

ვახტანგ დაბახიშვილი დირექტორი _____

დავით შაფაქიძე ბუღალტერი _____

შპს მისო „B კრედიტი“
ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნაა	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	481,052	634,306
ვადიანი დეპოზიტი	11	-	1,164,822
ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით	10	1,136,244	-
გაცემული სესხები	12	3,021,806	2,861,034
სხვა აქტივები		54,025	38,747
არამატერიალური აქტივები	13	4,904	11,404
ძირითადი საშუალებები	14	6,975	5,554
სულ აქტივები		**4,705,006**	**4,715,867**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,717,380	1,717,380
დაგროვილი ზარალი		(609,612)	(626,457)
სულ კაპიტალი		**1,107,768**	**1,090,923**
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	15	3,540,811	3,562,371
სხვა ვალდებულება		56,427	62,573
სულ ვალდებულებები		**3,597,238**	**3,624,944**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**4,705,006**	**4,715,867**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2026 წლის 6 მარტს

ვახტანგ დაბახიშვილი — დირექტორი

დავით შაფაქიძე — ბუღალტერი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	მფლობელთა კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
2023 წლის 31 დეკემბერი	**1,717,380**	**(787,262)**	**930,118**
წლის მოგება	-	160,805	160,805
2024 წლის 31 დეკემბერი	**1,717,380**	**(626,457)**	**1,090,923**
წლის მოგება	-	16,845	16,845
2025 წლის 31 დეკემბერი	**1,717,380**	**(609,612)**	**1,107,768**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2026 წლის 6 მარტს

ვახტანგ დაბახიშვილი დირექტორი _____

დავით შაფაქიძე ბუღალტერი _____

შპს მისო „B კრედიტი“
ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	მფლობელთა კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
2023 წლის 31 დეკემბერი	**1,717,380**	**(787,262)**	**930,118**
წლის მოგება	-	160,805	160,805
2024 წლის 31 დეკემბერი	**1,717,380**	**(626,457)**	**1,090,923**
წლის მოგება	-	16,845	16,845
2025 წლის 31 დეკემბერი	**1,717,380**	**(609,612)**	**1,107,768**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2026 წლის 6 მარტს

ვახტანგ დაბახიშვილი — დირექტორი

დავით შაფაქიძე — ბუღალტერი

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2025	2024
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი დაბეგვრამდე		16,845	160,805
კორექტირებები:			
საპროცენტო შემოსავალი	5	(659,240)	(787,263)
საპროცენტო ხარჯი	6	351,837	366,494
სესხების გაუფასურების ანარიცხის ხარჯი	11	(18,233)	(53,465)
ცვეთა და ამორტიზაცია	9,10	8,583	8,512
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული შემოსავალი(ზარალი)	7	6,254	(19,819)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		**(293,954)**	**(324,736)**
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში			
გაცემული სესხების (ზრდა)/კლება	11	(182,286)	81,512
ვადიანი დეპოზიტების (ზრდა)/კლება	13	1,178,443	(48,721)
ობლიგაციები ამორტიზებული ღირებულების (ზრდა)/კლება			-
სხვა აქტივების (ზრდა)/კლება		(21,385)	33,557
სხვა ვალდებულებების ზრდა/(კლება)		(6,144)	25,083
საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის გადახდამდე		**(461,571)**	**(233,305)**
მიღებული პროცენტი		685,365	760,576
გადახდილი პროცენტი		(351,837)	(359,820)
საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(128,043)**	**167,452**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(3,504)	(3,901)
საინვესტიციო საქმიანობის შედეგად გასული წმინდა ფულადი სახსრები		**(3,504)**	**(3,901)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
მიღებული სესხების ცვლილება		(21,560)	(55,337)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		**(21,560)**	**(55,337)**
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		(147)	(2,502)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)		**(153,254)**	**105,710**
ნაშთი წლის დასაწყისში	12	**634,306**	**528,595**
ნაშთი წლის ბოლოს	12	**481,052**	**634,306**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2026 წლის 6 მარტს.

ვახტანგ დაბახიშვილი დირექტორი _____

დავით შაფაქიძე ბუღალტერი _____

შპს მისო „B კრედიტი“
ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2025	2024
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი დაბეგვრამდე		16,845	160,805
კორექტირებები:			
საპროცენტო შემოსავალი	5	(659,240)	(787,263)
საპროცენტო ხარჯი	6	351,837	366,494
სესხების გაუფასურების ანარიცხის ხარჯი	11	(18,233)	(53,465)
ცვეთა და ამორტიზაცია	9,10	8,583	8,512
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული შემოსავალი(ზარალი)	7	6,254	(19,819)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		**(293,954)**	**(324,736)**
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში			
გაცემული სესხების (ზრდა)/კლება	11	(182,286)	81,512
ვადიანი დეპოზიტების (ზრდა)/კლება	13	1,178,443	(48,721)
ობლიგაციები ამორტიზებული ღირებულების (ზრდა)/კლება			-
სხვა აქტივების (ზრდა)/კლება		(21,385)	33,557
სხვა ვალდებულებების ზრდა/(კლება)		(6,144)	25,083
საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის გადახდამდე		**(461,571)**	**(233,305)**
მიღებული პროცენტი		685,365	760,576
გადახდილი პროცენტი		(351,837)	(359,820)
საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(128,043)**	**167,452**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(3,504)	(3,901)
საინვესტიციო საქმიანობის შედეგად გასული წმინდა ფულადი სახსრები		**(3,504)**	**(3,901)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
მიღებული სესხების ცვლილება		(21,560)	(55,337)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		**(21,560)**	**(55,337)**
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		(147)	(2,502)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)		**(153,254)**	**105,710**
ნაშთი წლის დასაწყისში	12	**634,306**	**528,595**
ნაშთი წლის ბოლოს	12	**481,052**	**634,306**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2026 წლის 6 მარტს.

ვახტანგ დაბახიშვილი — დირექტორი

დავით შაფაქიძე — ბუღალტერი

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს „B კრედიტი“ („მისო“) იურიდიულ პირად რეგისტრირებულია და ფუნქციონირებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (დაფუძნდა 2009 წლის 19 აგვისტოს). ოფისის მისამართი: საქართველო, ქ.თბილისის ქავთარაძის N19. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ოპერირებს როგორც საკრედიტო ორგანიზაცია, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს მიკრო სესხებს (მაქსიმუმ 100,000 ლარის ოდენობით ერთ მსესხებელზე) უძრავი ქონებისა და სატრანსპორტო საშუალების უზრუნველყოფით, ასევე გასცემს სესხებს უზრუნველყოფის გარეშეც. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსის დარეგისტრირება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მოხდა 2009 წლის 4 სექტემბერს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მფლობელთა წილები მოცემულია შემდეგი სახით: ირაკლი ბურჭულაძე 50%, თამარ მარშანია 50%.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მფლობელთა წილები მოცემულია შემდეგი სახით: თამარ მარშანია 100%.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიკროსაფინანსო ორგანიზაციის თანამშრომელთა სრული რაოდენობა შეადგენდა 7 (2024: 7).

ძირითადი საქმიანობა. მისოს ძირითადი საქმიანობაა მიკრო სესხების გაცემა (100,000 ლარამდე მსესხებელზე) უძრავი ქონებისა და სატრანსპორტო საშუალების უზრუნველყოფით, ასევე უზრუნველყოფის გარეშე.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. მისოს სარეგისტრაციო მისამართი არის: საქართველო, ქ.თბილისის ქავთარაძის N19.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტა. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ქართულ ლარში („ლარი“).

2. საქართველოს ბიზნეს გარემო

მისო მთავარ საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოს ბიზნესგარემო ხასიათდება არაერთი სტრუქტურული ნაკლოვანებებით საქართველო არის პატარა, ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანა მაღალი დოლარიზაციის დონით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტითა და საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე მზარდი დამოკიდებულებით. შედეგად, ქვეყნის ფინანსური სისტემა ხდება დაუცველი გლობალურ ეკონომუკურ და ფინანსურ ტენდენციებთან მიმართებაში. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არსებულ გარემოებებში იღებს ყველა საჭირო ზომას, რათა უზრუნველყოს მისოს საქმიანობის მდგრადობა და განვითარება.

3. ანგარიშგების მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა

3.1 ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი ორგანიზაციის პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“ბასსს“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო „ფასს სტანდარტების” თანახმად, რომლებიც ძალაშია 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილების, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სხვა სრული შემოსავალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მოიცავს შემოსავლების და ხარჯების იმ პუნქტებს (რეკლასიფიცირების კორექტირებების ჩათვლით), რომლებიც არ არის აღიარებული

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილი ან დაშვებულია ფასს-ის თანახმად. რეკლასიფიცირების კორექტირება არის რაოდენობა, რომელიც მიმდინარე პერიოდში რეკლასიფიცირებულია მოგების ან ზარალის სახით და რომელიც მიმდინარე ან წინა პერიოდებში აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავლებში. მისოს მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

მისო სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ფუნქციის მიხედვით. მისო მიიჩნევს, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. ბაზრის სტანდარტული პირობებით ფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვისას ფინანსური აქტივების აღიარება და აღიარების შეწყვეტა უნდა მოხდეს გარიგების თარიღით ან ანგარიშსწორების თარიღით, შესაბამისად.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისათვის მისო ფინანსური აქტივის აღიარებისთანავე აღიარებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის ანარიცხს მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანაგრიშგებაში.

თუ თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივის და ვალდებულების რეალური ღირებულება განსხვავდება გარიგების ღირებულებისაგან მისო ფინანსური ინსტრუმენტებს ამ თარიღისთვის აღრიცხავს შემდეგნაირად:

ა) თუ რეალური ღირებულება დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების აქტიური ბაზრის კოტირებული ფასით (ე.ი პირველი დონის ამოსავალი მონაცემი), ან ეყრდნობა შეფასების ისეთ მეთოდს, რომელშიც გამოიყენება მხოლოდ ემპირიული ბაზრების მონაცემები. მისო თავდაპირველი აღიარებისას რეალურ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის სხვაობას აღიარებს როგორც შემოსულობა ან ზარალი

ბ) ყველა სხვა შემთხვევაში რეალური ღირებულება კორექტირდება თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრულ რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის სხვაობის თანხის გადავადების გზით, თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საწარმომ გადავადებულ სხვაობას აღიარებს როგორც შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ იმ ოდენობით, რომელიც წარმოიქმნება ისეთი ფაქტორის ცვლილებით (დროის ფაქტორის ჩათვლით), რომელსაც ბაზრის მონაწილეები განიხილავდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას.

ფინანსური აქტივები
ა) კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება
მისომ აკლასიფიცირებს ფინანსური აქტივებს შემდგომ კატეგორიებში:

- რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით
- რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ან
- ამორტიზებული ღირებულებით

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:
ა) ორგანიზაციის ბიზნესმოდელი, რომელიც გამოიყენება ფინანსური აქტივების მართვისთვის და
ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები

აღნიშნულ ფაქტორებზე დაყრდნობით მისო აქდენს ფინანსური აქტივების კლასიფიცირებას ერთ-ერთში შემდგომი სამი საზომი კატეგორიიდან:

- ამორტიზირებული ღირებულება: მისო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით

და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას. აქტივის ღირებულება კორექტირდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხების აღიარებით. საპროცენტო შემოსავალი აღნიშნული აქტივებისთვის კლასიფიცირდება როგორც „საპროცენტო და მსგავსი ტიპის შემოსავალი“ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

- რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით: ფინანსური აქტივი რომელსაც მისო ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვა და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას აღიარებულია როგორც რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ღირებულებაში მოძრაობები აისახება სხვა სრულ შემოსავალში გარდა გაუფასურების მოგებისა და ზარალის აღიარებისა, საპროცენტო შემოსავლისა და კურსთაშორის სხვაობის ეფექტისა რომელიც აღიარდება მოგება-ზარალში. როდესაც ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება კუმულატიური მოგება ან ზარალი რომლის ასახვაც მოხდა სხვა სრულ შემოსავალში რეკლასიფიცირდება ექვითიდან მოგება-ზარალში და აღიარდება „წმინდა საინვესტიციო შემოსავალი“. საპროცენტო შემოსავალი ფინანსური აქტივისგან კლასიფიცირდება როგორც საპროცენტო შემოსავალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.
- რეალური ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით: აქტივი რომელიც შეფასებული არ არის ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით აღიარდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში.

მისოს ბიზნესმოდელი გვიჩვენებს, როგორ მართავს საწარმო თავის ფინანსურ აქტივებს, ფულადი ნაკადების გენერირების მიზნით, ანუ ორგანიზაციის ბიზნესმოდელით განისაზღვრება, რა სახით წარმოიქმნება ფულადი ნაკადები: სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ფინანსური აქტივების გაყიდვით, თუ ერთობლივად ორივე გზით. თუ არცერთი აღნიშნული მოდელი არ არის შესაბამისობაში ასეთ შემთხვევაში ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება როგორც სხვა ბიზნეს მოდელი და იზომება სამართლიანი ღირებულებით.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მისო ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს, იგი ახდენს ყველა შესაბამისი ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაციას.

ამორტიზირებული ღირებულება და ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება არის ის ღირებულება, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარებული იყო თავდაპირველი აღიარების თარიღისთვის, გამოკლებული ნებისმიერი სესხის ძირი თანხის დასაფარად განხორციელებული გადახდები, პლიუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში - გამოკლებული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ჩამოწერა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში, მისაღები ან გადასახდელი ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ნეტო საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშების დროს, საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტებიდან მისაღები ფულადი ნაკადები უნდა შეაფასოს ყველა სახელშეკრულებო პირობის გათვალისწინებით, მაგრამ არ უნდა გაითვალისწინოს მომავალი საკრედიტო ზარალი. გაანგარიშება მოიცავს ყველა საზღაურსა და გადახდილ ან მიღებულ ერთეულს (აქტივის ნომინალური ღირებულების ცვლილების ყოველი ერთეული) ხელშეკრულების მხარეებს შორის, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია, აგრეთვე გარიგების დანახარჯებსა და ყველა სხვა პრემიასა და ფასდათმობას. არსებობს ვარაუდი, რომ მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტების ჯგუფის მოსალოდნელი ვადა და ფულადი ნაკადები შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

როდესაც მისოს მიერ ხდება მომავალი ფულადი ნაკადების გადახედვა შესაბამისი ფინანსური აქტივი ან ვალდებულება კორექტირდება, რათა აისახოს ცვლილებები. მისოს მიერ ნებისმიერი ცვლილება აღიარებულია მოგება-ზარალში.

გაუფასურება

მისო ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს აფასებს ისეთი მეთოდით რომელიც ასახავს:

- მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ ოდენობას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით;
- ფულის დროით ღირებულებას; და
- გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე

სესხების მოდიფიკაცია

მისო ზოგიერთ შემთხვევებში ხელახლა აწარმოებს მოლაპარაკებებს ან სხვაგვარად ცვლის კლიენტებზე გაცემული სესხების სახელშეკრულებო ფულადი ნაკადებს. ასეთ შემთხვევებში, მისო აფასებს არსებითად შეიცვალა თუ არა ახალი პირობები თავდაპირველთან შედარებით. მისო ამას აკეთებს შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

- თუ მსესხებელი ფინანსურ სირთულეს განიცდის, შეამცირებს თუ არა ეს ცვლილება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ოდენობებს, რომლის გადახდასაც აპირებს მსესხებელი.
- შემოღებულია თუ არა რაიმე არსებითი ახალი პირობები, როგორიცაა მოგების წილი / საკუთარი კაპიტალით მიღებული მოგება, რომელიც არსებითად მოქმედებს სესხის რისკის პროფილზე.
- სესხის ვადის მნიშვნელოვანი გაგრძელება, როდესაც მსესხებელს არ აქვს ფინანსური სირთულე.
- ვალუტის ცვლილება, რომელშიც გამოსახულია სესხი.
- გირაოს, სხვა უზრუნველყოფის დამატება, რაც მნიშვნელოვნად მოქმედებს სესხთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკზე.

თუ პირობები არსებითად განსხვავებულია, მისო აკეთებს თავდაპირველ ფინანსურ აქტივის აღიარების შეწყვეტას და აღიარებს ახალ აქტივს რეალური ღირებულებით და ახდენს აქტივის ახალი ეფექტური პროცენტის გადაანგარიშებას. შესაბამისად, ხელახალი მოლაპარაკების თარიღად ითვლება საწყისი აღიარების თარიღი გაუფასურების გაანგარიშების მიზნებისთვის, მათ შორის იმის დასადგენად, მოხდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა. ამასთან, მისო ამოწმებს ახალ ფინანსურ აქტივს გაუფასურებაზე თავდაპირველი აღიარებისას, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში როდესაც ხელახალი მოლაპარაკებები გამოწვეულ იქნა კლიენტის გადახდისუუნაროობით. საბალანსო ღირებულებაში სხვაობა აღიარდება მოგება ზარალში.
თუ პირობები არსებითად არ განსხვავდება ხელახალი მოლარაპარაკება ან მოდიფიკაცია არ გამოიწვევს აღიარების შეწყვეტას, რა დროსაც მისო ახდენს მთლიანი საბალანსო ღირებულების გადაანგარიშებას განახლებული ფულადი ნაკადებით და აღიარებს მოდიფიკაციის შედეგს მოგებაში ან ზარალში. მთლიანი საბალანსო ღირებულების გადაანგარიშება ხორციელდება მოდიფიცირებული ფულადის ნაკადების დისკონტირებით შესაბამისი ეფექტური განაკვეთის მიხედვით.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ როდესაც ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებს მიღების სახელშეკრულებო ვადა ეწურება ან როდესაც ხედება შემდეგი ორი სიტუაციიდან ერთ-ერთი:
1) მისო გადასცემს ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს;
2) არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს და არ ინარჩუნებს კონტროლს ფინანსურ აქტივზე.

ფინანსური ვალდებულებები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

საწარმომ ყველა ფინანსურ ვალდებულებას უნდა მიანიჭოს კლასიფიკაცია „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული “, გარდა:

ა) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც ასახულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ასეთი ვალდებულებები, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ჩათვლით, რომლებიც ვალდებულებებს წარმოადგენს, საწარმომ შემდგომში უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით;

ბ) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც იმ შემთხვევაში წარმოიქმნება, როდესაც ფინანსური აქტივის გადაცემა არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, ან, როდესაც გამოიყენება აქტივში მონაწილეობის შენარჩუნების მიდგომა.

გ) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებისა.

აღიარების შეწყვეტა

მისო ფინანსურ ვალდებულების აღიარებას, (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილი) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან, მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა. არსებითად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტის გაცვლა არსებულ გამსესხებელსა და მსესხებელს შორის განხილულ უნდა იქნეს, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები არსებითად განსხვავებულად მიიჩნევა, თუ თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით განსაზღვრული ახალი პირობების შესაბამისი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, ნებისმიერი ნეტო გადახდილი საზღაურის (გადახდილ საზღაურს მინუს მიღებული საზღაური) ჩათვლით, სულ მცირე 10 პროცენტით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულებისაგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა განიხილება როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოშობილი დანახარჯები თუ საზღაური უნდა აღიარდეს, როგორც გაუქმების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა არ განიხილება, როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოქმნილი დანახარჯები თუ საზღაური აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში.

ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა და წმინდა თანხის გამჟღავნება მოხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლის კანონიერი უფლება და არსებობს განზრახვა ან მოხდეს ურთიერთვლა ან რეალიზდეს აქტივი და მოხდეს ვალდებულების გადაფრვა ერთდროულად.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს. სახსრები რომლებიც შეზღუდულია სამ თვეზე მეტი ვადით გამოიქვითება ფული და ფულის ექვივალენტებიდან. ფული და ფულის ექვივალენტები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხდება თვითღირებულებას მინუს დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მისი მომსახურეობის ვადის განმავლობაში, იგი გულისხმობს ცვეთის ერთი და იმავე თანხის დარიცხვას, აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე. წრფივი მეთოდის დროს, ყოველი პერიოდის ცვეთის სიდიდე ერთმანეთის ტოლია და გაიანგარიშება აქტივის ცვეთადი ღირებულებისა და მისი მომსახურეობის ვადის თანაფარდობით.

ავტოსატრანსპორტო საშუალებები	7 წელი
ოფისის აღჭურვილობა	7 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5 წელი

ის ნარჩენი ღირებულება არის ის საანგარიშო თანხა, რომელსაც მისო ახლა მიიღებდა აქტივის გასვლიდან, აქტივის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით, იმ შემთხვევაში თუ აქტივი იმ მდგომარეობაში იქნებოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულება უდრის ნულს იმ შემთხვევაში, თუ მისო აპირებს ობიექტის გამოყენებას მისი გამოყენების ფიზიკური ვადის დასრულებამდე.

აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები

მისოს არამატერიალურ აქტივებს აქვს განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა და უმთავრესად მოიცავს კომპიუტერულ პროგრამებს.

შეძენილი კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიები კაპიტალიზდება კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის შეძენაზე და სასარგებლო მდგომარეობაში მოყვანაზე გაწეული ხარჯების საფუძველზე. განვითარების ხარჯები, რომელიც უშუალოდ უკავშირდება იდენტიფიცირებულ და უნიკალურ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელსაც მისო აკონტროლებს, აისახება არამატერიალურ აქტივად, თუ ითვლება, რომ მათთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის ჯამი აღემატება ხარჯებს. კაპიტალიზირებული დანახარჯები მოიცავს პროგრამული განვითარების გუნდის საშტატო დანახარჯებს და ზედნადები ხარჯების შესაბამის ნაწილს.

კომპიუტერულ პროგრამებთან დაკავშირებული სხვა ყველა ხარჯი, მაგალითად მათი ტექნიკური მომსახურება, აღიარდება მოგება-ზარალში ხარჯის გაწევის მომენტში. კაპიტალიზირებული პროგრამული უზრუნველყოფის ამორტიზაცია ხდება წრფივი მეთოდით 5-10 წლის მოსალოდნელი სარგებლობის ვადის განმავლობაში.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს კომპანიის აქტივებში ნარჩენ წილს, ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. კომპანიის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარებას ექვემდებარება მიღებულ შემოსავლებთან ერთად გამოშვების ხარჯების გამოკლებით. წილობრივი ინსტრუმენტების მაგალითია ჩვეულებრივი აქციები.

მისო შემდგომში განსაზღვრავს ყველა ინვესტიციას კაპიტალში სამართლიანი ღირებულებით მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მისო-ს ხელმძღვანელობამ თავდაპირველი აღიარებისას აირჩია, შეუქცევადად განსაზღვროს ინვესტიცია კაპიტალში რეალური ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანაგრიშგებაში.

წილობრივი ინსტრუმენტებიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღირცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში.

მფლობელთა კაპიტალი

მფლობელის კაპიტალი განისაზღვრება მისო-ს დამფუძნებლის გადაწყვეტილებით

დივიდენდების განაწილება

დივიდენდების კაპიტალში აღიარება ხორციელდება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

შემოსავლების და ხარჯების აღიარება

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავალი ანგარიშგებაში ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის დარიცხვის მეთოდის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

როდესაც სესხების და სხვა სასესხო ინსტრუმენტების მიღება საეჭვო ხდება, ისინი ჩამოიწერება მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინების ამჟამინდელ ღირებულებამდე და შემდგომში საპროცენტო შემოსავალი დისკონტირდება აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე, რომელიც გამოყენებული იყო გაუფასურების ზარალის შესაფასებლად.

ყველა სხვა მოსაკრებელი, საკომისიო და შემოსავალის და ხარჯების სხვა მუხლები,როგორც წესი აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე კონკრეტული ტრანზაქციის დასრულებისას, რომელიც ფასდება იმის საფუძველზე თუ მთლიანად გასაწევი მომსხურების რა ნაწილი გასწია კომპანიამ.

საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო ამონაგები საწარმომ უნდა გამოითვალოს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, კერძოდ, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ფინანსური აქტივის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებასთან მიმართებაში, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

ა) შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივები. საწარმომ ამგვარი ფინანსური აქტივებისთვის, თავდაპირველი აღიარებისას უნდა განსაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი და გამოიყენოს ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებასთან მიმართებაში

ბ) ფინანსური აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენს შეძენილ ან შექმნილ გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებს, არამედ შემდგომში გახდა საკრედიტო რისკის გავლენით გაუფასურებული ფინანსური აქტივები(მე-3 ეტაპი). ამგვარი ფინანსური აქტივების შემთხვევაში, საწარმომ, მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა გამოიყენოს ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებასთან მიმართებაში.

საოპერაციო იჯარა

თუ იჯარის ხელშეკრულების მიხედვით "მისო" არის მოიჯარე , რომელსაც არ გადაეცემა ყველა რისკი და სარგებელი დაკავშირებული საიჯარო აქტივის ფლობასთან, ამ შემთხვევაში იჯარი ხელშეკრულების პერიოდის განმავლობაში მთლიანი გადახდები აღიარდება მოგება-ზარალის ანაგრიშგებაში წრფივი მეთოდით

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

მისოს ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია მისოს ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ

ვალუტაში გამოხატული და სამართლიანი ღირებულებით ასახული არაფულადი პუნქტები (მაგ: გასაყიდად არსებული წილობრივი ინსტრუმენტები) კონვერტაციას ექვემდებარება იმ დღის გაცვლითი კურსის გამოყენებით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის მიღებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს და აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, რადგან ის დაკავშირებულია იმავე ან სხვადასხვა პერიოდში, სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ტრანზაქციებთან.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომლის გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის დასაბეგრ მოგებასთან დაკავშირებით მიმდინარე ან წინა პერიოდებისთვის. დასაბეგრი მოგება ეფუძნება გაანგარიშებებს, თუ ფინანსური ანგარიშები ნებადართულია შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების წარდგენამდე. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საშემოსავლო გადასახადი წარმოდგენილია საბალანსო ვალდებულების მეთოდის გამოყენებით საგადასახადო ზარალის მომავალ პერიოდში გადატანასთან და დროებით სხვაობებთან მიმართებაში, რომელიც წარმოიქმნება აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის. თავდაპირველი აღიარებისას გამონაკლისის შესაბამისად, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება ტრანზაქციაში (რომელიც არ არის შერწყმა) აქტივებისა და პასივების თავდაპირველ აღიარებიდან გამომდინარე დროებით სხვაობებთან დაკავშირებით, თუ ტრანზაქცია თავდაპირველად აღიარებისას, გავლენას არ მოახდენს სააღრიცხვო მოგებასა თუ დასაბეგრ მოგებაზე.

3.2 ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა და შევიდა ძალაში

კომპანიამ მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („IASB“) მიერ გამოცემული ყველა ახალი ან შეცვლილი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომელიც სავალდებულოა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდისთვის. კომპანიას ჯერ არ შეუფასებია ამ ახალი ან შეცვლილი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების გავლენა.

ნებისმიერი ახალი ან შეცვლილი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტი ან ინტერპრეტაცია, რომელიც ჯერ არ არის სავალდებულო, ადრე არ იქნა მიღებული.

შემდეგი ახალი და შესწორებული სტანდარტები, გამოცემული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის და გამოყენებული იქნა ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას:

1. ცვლილებები ბასს 21-ში: შეუცვლელობის ნაკლებობა

- *ძალაში შესვლის თარიღი: 2025 წლის 1 იანვარი*
- *რეზიუმე: ეს ცვლილებები აკონკრეტებს, თუ როგორ უნდა შეაფასოს ერთეულმა ვალუტის გაცვლადიობა და ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნები, თუ ეს ასე არ არის.*

სტანდარტები და ცვლილებები გაცემულია, მაგრამ ჯერ არ არის ეფექტური

შემდეგი ახალი სტანდარტები და შესწორებები გამოიცა ბასსს-ის მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული წლიური პერიოდისთვის, რომელიც მთავრდება 2025 წლის 31 დეკემბერს. კომპანიას ადრე არ მიუღია ეს სტანდარტები და ამჟამად აფასებს მათ პოტენციურ გავლენას მომავალ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

1. ფასს 18: პრეზენტაცია და გამჟღავნება ფინანსურ ანგარიშგებაში

- *ძალაში შესვლის თარიღი: 2027 წლის 1 იანვარი*

- *რეზიუმე: ფასს 18 შემოაქვს ახალ კატეგორიებსა და ქვეჯამებს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში და მოითხოვს მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული შესრულების საზომების გამჟღავნებას.*

3. ცვლილებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში: კონტრაქტები, რომლებიც ეხება ბუნებაზე დამოკიდებული ელექტროენერგიას

- *ძალაში შესვლის თარიღი: 2026 წლის 1 იანვარი*
- *რეზიუმე: ცვლილებები განმარტავს „საკუთარი გამოყენების“ მოთხოვნების გამოყენებას და ნებას რთავს ჰეჯირების აღრიცხვას გარკვეული კონტრაქტებისთვის.*

ერთეულზე გავლენას ახდენს ცვლილებები, როდესაც მას აქვს ტრანზაქცია ან ოპერაცია უცხოურ ვალუტაში, რომელიც არ შეიცვლება სხვა ვალუტაში შეფასების თარიღისთვის განსაზღვრული მიზნით. ვალუტა ცვალებადია, როდესაც არსებობს სხვა ვალუტის მოპოვების შესაძლებლობა (ჩვეულებრივი ადმინისტრაციული დაგვიანებით) და ტრანზაქცია განხორციელდება ბაზრის ან გაცვლის მექანიზმის მეშვეობით, რომელიც ქმნის აღსრულებად უფლებებსა და ვალდებულებებს.

კომპანია მოელის, რომ ამ ახალი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება, რომელიც ძალაში იქნება შემდეგი საანგარიშგებო პერიოდიდან, არ ექნება არსებით გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე ან ფულადი სახსრების ნაკადებზე.

4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ფასს სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტს, გააკეთოს შეფასებები, შეფასებები და დაშვებები, რომლებიც გავლენას ახდენს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაზე და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხულ ოდენობებზე. შეფასების გაურკვევლობა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში მენეჯმენტმა გააკეთა შეფასებები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული თანხების დადგენისას. შეფასებების ყველაზე მნიშვნელოვანი გამოყენება შემდეგია:

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

ფასს 9-ის თანახმად, კლიენტებზე გაცემული სესხების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვა მოითხოვს განსჯას, კერძოდ, ფულადი სახსრების მომავალი ნაკადების ოდენობის და დროის შეფასებას და უზრუნველყოფის ღირებულებებს, სავარაუდო საკრედიტო ზარალის განსაზღვრისას და საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შეფასებას.კომპანიის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი გამოთვლები წარმოადგენს კომპლექსური მოდელების შედეგებს, რომელთა ძირითადი დაშვებებია ცვლადი შეტანის არჩევისა და მათი ურთიერთდამოკიდებულებების შესახებ. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი მოდელების ელემენტები, რომლებიც ითვლება ბუღალტრული აღრიცხვის შეფასებებსა და შეფასებებში, მოიცავს:

• ჯგუფის კრიტერიუმები იმის შესაფასებლად, მოხდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა და შესაბამისად, ფინანსური აქტივების რეზერვები უნდა შეფასდეს მთლიანი სასიცოცხლო ციკლის მანძილზე, მათ შორის გათვალისწინებული უნდა იყოს ხარისხობრივი მახასიათებლები;

• ფინანსური აქტივების სეგმენტაცია, როდესაც მათი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განსაზღვრულია კოლექტიურად;

• მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელების შემუშავება.

• პერსპექტიული მაკროეკონომიკური სცენარების შერჩევა (CPI ინდექსი, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი და მშპ-ს ზრდა) და მათი ალბათობების შეფასება.

5. საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები

	2025	2024
საპროცენტო შემოსავლები		
საპროცენტო შემოსავალი იპოთეკური სესხებიდან	606,150	757,234
საპროცენტო შემოსავლები დეპოზიტებიდან	13,621	18,441
საპროცენტო შემოსავლები ფინანსური აქტივიდან	24,272	-
საპროცენტო შემოსავალი უზრუნველყოფის გარეშე სესხებიდან	15,197	11,588
სულ საპროცენტო შემოსავლები	**659,240**	**787,263**
საპროცენტო ხარჯები		
საპროცენტო ხარჯი მიღებულ სესხებზე	(351,837)	(366,494)
სულ საპროცენტო ხარჯები	**(351,837)**	**(366,494)**
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	**307,403**	**420,769**

6. საოპერაციო ხარჯები

	2025	2024
თანამშრომელთა ხარჯი	192,284	182,284
ოფისის იჯარა*	20,000	24,000
საკომისიო ხარჯი	19,248	21,293
პროფესიული მომსახურების ხარჯი**	22,420	19,000
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი	8,584	11,317
კომუნიკაციის ხარჯი	9,727	9,795
საწვავის ხარჯი	11,098	8,420
კომუნალური ხარჯი	6,686	7,016
პროგრამის ხარჯი	6,600	5,400
ჯარიმების ხარჯი	840	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	28,445	30,686
ფინანსური ინსტრუმენტები	4,512	-
სულ საოპერაციო ხარჯები	**330,444**	**319,211**

პროფესიული მომსახურება** - მოიცავს აუდიტის საფასურს.

7. წმინდა მოგება/(ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან

	2025	2024
შემოსავლები სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	(34,102)	126,960
ზარალი სავალუტო სასრების გადაფასებიდან	40,356	(146,778)
სულ წმინდა მოგება / (ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან	**6,254**	**(19,819)**

8. მოგების გადასახადის ხარჯი

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე არ ვრცელდება ესტონური დაბეგვრის რეჟიმი და ისინი დაიბეგრებიან სტანდარტული მოგების გადასახადით. 2023 წლის 1 იანვრიდან მათთვის მოქმედი განაკვეთი შეადგენს 20%-ს (წინა პერიოდში – 15%).

კომპანიამ ანგარიშგების პერიოდში მიიღო ბუღალტრული მოგება, თუმცა გააჩნია დაგროვილი საგადასახადო ზარალები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მომავალი დაბეგვრადი მოგების დასაფარად.

მმართველობის შეფასებით, კომპანიის მომგებიანობა ჯერჯერობით არასაკმარისია იმისათვის, რომ გონივრულ ვადაში შეიქმნას საჭირო დაბეგვრადი მოგება. ამიტომ, აღნიშნულ საგადასახადო ზარალებზე გადავადებული საგადასახადო აქტივი არ არის აღიარებული.

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
ფული ბანკში	456,434	579,854
ნაღდი ფული სალაროში	24,618	54,452
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	**481,052**	**634,306**

10. ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით	1,136,244	-
სულ ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით	**1,136,244**	**-**

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სს „სილქ როუდ ჯგუფის“ მიერ გამოშვებულ კორპორატიულ ობლიგაციებს, რომელთა საბალანსო ღირებულება 1,136,244 ლარია (2024: ნული). ობლიგაციები შეძენილია 2025 წლის 3 ოქტომბერს და მათი სახელშეკრულებო დაფარვის ვადაა 2030 წლის 15 სექტემბერი, პროცენტი გადასახდელია ნახევარწლიურად 7.5%-იანი განაკვეთით და ძირითადი თანხის დაფარვა ვადის გასვლისას. ინსტრუმენტები ინახება ბიზნეს მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და აკმაყოფილებს SPPI კრიტერიუმებს; შესაბამისად, ისინი შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით, ობლიგაციები კლასიფიცირებულია, როგორც 1 ეტაპი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის მიხედვით და მასთან დაკავშირებული ზარალის რეზერვი უმნიშვნელოა. წლის განმავლობაში აღიარებულმა საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 24,272 ლარი, ხოლო სავალუტო მოგებამ - 2,108 ლარი, ორივე აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

11. ვადიანი დეპოზიტები

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
ვადიანი დეპოზიტები ბანკში	-	1,164,822
სულ ვადიანი დეპოზიტები	**-**	**1,164,822**

2025 წელს კომპანიამ დახურა ყველა ვადიანი ანაბარი და მიღებული თანხებით შეიძინა JSC Silk Road Group-ის მიერ გამოშვებული ობლიგაციები (შენიშვნა 10).
2025 წელს კომპანიამ შეიძინა JSC Silk Road Group-ის მიერ გამოშვებული ობლიგაციები. შეძენა განხორციელდა JSC TBC Capital-ის მეშვეობით.

ვადიანი დეპოზიტები ბანკში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	დაწყება	დასრულება	პროცენტი	ვალუტა	თანხა	თანხა ლარებში
თიბისი ბანკში	19/09/2023	26/09/2025	1.65%	USD	415,000	1,164,822
სულ					**415,000**	**1,164,822**

საპროცენტო შემოსავალი 2025 წლისთვის არის 13,621 ლარი (2024: 18,441 ლარი).

თიბისი ბანკს აქვს საკრედიტო შეფასებები BB. ვადიან დეპოზიტებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არ არის აღიარებული, რადგან ეს არის უმნიშვნელო და მასში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განხორციელებულა პერიოდში.

12. გაცემული სესხები

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები - უძრავი ქონებით	3,065,586	3,024,005
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები - მოძრავი ქონებით	-	-
იურიდულ პირებზე გაცემული სესხები-უძრავი ქონებით	141,108	112,297
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები - უზრუნველყოფის გარეშე	463,603	391,454
მინუს: სესხების გაუფასურების ანარიცხი	(648,490)	(666,722)
სულ გაცემული სესხები	**3,021,806**	**2,861,034**

ქვემოთ ცხრილში მოცემულია სესხების რეზერვის გაუფასურების მოძრაობა 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ეტაპი I	ეტაპი II	ეტაპი III	სულ
31 დეკემბერი 2023	**132,531**	**374,813**	**212,844**	**720,188**
გადატანა I ეტაპში	(11,590)	9,057	2,533	-
გადატანა II ეტაპში	(25,047)	84,838	(59,791)	-
გადატანა III ეტაპში	(104,958)	(197,199)	302,157	-
წინა პერიოდების სესხების რეზერვში ცვლილება	136,811	57,766	26,801	221,379
ახალი სესხების რეზერვი	34,255	70,993	-	105,248
რეზერვის აღდგენა	(40,697)	(228,737)	(110,658)	(380,092)
31 დეკემბერი 2024	**121,305**	**171,532**	**373,886**	**666,723**
გადატანა I ეტაპში	(18,112)	9,756	8,356	-
გადატანა II ეტაპში	(99,740)	99,740	-	-
გადატანა III ეტაპში	(91,778)	(128,769)	220,547	-
წინა პერიოდების სესხების რეზერვში ცვლილება	243,726	71,349	131,771	446,846
ახალი სესხების რეზერვი	38,898	4,753	-	43,651
რეზერვის აღდგენა	(65,931)	(112,903)	(329,896)	(508,730)
31 დეკემბერი 2025	**128,368**	**115,458**	**404,664**	**648,490**

მომხმარებელზე გაცემული სესხების მთლიანი საბალანსო ღირებულება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	ეტაპი I	ეტაპი II	ეტაპი III	სულ
31 დეკემბერი 2023	**2,303,607**	**931,353**	**347,805**	**3,582,764**
გადატანა I ეტაპში	215,364	(177,187)	(38,178)	-
გადატანა II ეტაპში	(190,482)	307,736	(117,254)	-
გადატანა III ეტაპში	(180,675)	(331,042)	511,718	-
გადახდილი სესხები	(328,468)	(346,190)	(178,122)	(852,780)
წინა პერიოდში გაცემულ სესხებში ცვლილება	(165,415)	(3,246)	96,275	(72,386)
ახალი სესხები	670,160	199,999	-	870,158
31 დეკემბერი 2024	**2,324,091**	**581,422**	**622,243**	**3,527,756**
გადატანა I ეტაპში	297,760	(219,053)	(78,707)	-
გადატანა II ეტაპში	(220,062)	220,062	-	-
გადატანა III ეტაპში	(142,831)	(195,340)	338,171	-
გადახდილი სესხები	(362,638)	(72,740)	(314,326)	(749,704)
წინა პერიოდში გაცემულ სესხებში ცვლილება	(27,678)	(41,688)	55,210	(14,157)

ახალი სესხები	873,357	33,043	-	906,401
31 დეკემბერი 2025	**2,732,486**	**269,028**	**668,782**	**3,670,296**

მომხმარებელზე გაცემული სესხების გადანაწილება უზრუნველყოფის მიხედვით შემდეგია:

	31 დეკემბერი 2025		31 დეკემბერი 2024	
	ლარი	%	ლარი	%
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	3,065,586	84%	3,024,005	86%
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები იურიდიულ პირებზე	463,603	13%	391,454	11%
უზრუნველყოფის გარეშე სეხები	141,108	4%	112,297	3%
ავტომანქანებით უზრუნველყოფილი სესხები	-	0%	-	0%
სულ გაცემული სესხები (გაუფასურებამდე)	**3,670,297**	**100%**	**3,527,756**	**100%**

ეკონომიკური სექტორის რისკების კონცენტრაცია მომხმარებელთა სესხის უზრუნველყოფის ფარგლებში

	31 დეკემბერი 2025		31 დეკემბერი 2024	
	ლარი	%	ლარი	%
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	456,262	70%	569,782	85%
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები იურიდიულ პირებზე	185,957	29%	91,200	14%
უზრუნველყოფის გარეშე სეხები	6,271	1%	5,740	1%
ავტომანქანებით უზრუნველყოფილი სესხები	-	0%	-	0%
სულ სესხების გაუფასურების ანარიცხი	**648,490**	**100%**	**666,722**	**100%**

13. არამატერიალური აქტივები

თვითღირებულება	საოპერაციო პროგრამები	სულ
31 დეკემბერი 2023	**57,592**	**57,592**
შეძენები	-	-
31 დეკემბერი 2024	**57,592**	**57,592**
შეძენები	-	-
31 დეკემბერი 2025	**57,592**	**57,592**
დაგროვილი ცვეთა		
31 დეკემბერი 2023	**(37,631)**	**(37,631)**
ცვეთის ხარჯი	(8,557)	(8,557)
31 დეკემბერი 2024	**(46,188)**	**(46,188)**
ცვეთის ხარჯი	(6,500)	(6,500)

31 დეკემბერი 2025	**(52,688)**	**(52,688)**
წმინდა საბალანსო ღირებულება		
31 დეკემბერი 2023	**19,961**	**19,961**
31 დეკემბერი 2024	**11,404**	**11,404**
31 დეკემბერი 2025	**4,904**	**4,904**

14. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სულ
31 დეკემბერი 2023	**97,133**	**97,133**
შეძენა	3,901	3,901
გაყიდვა	-	-
31 დეკემბერი 2024	**101,034**	**101,034**
შეძენა	3,504	3,504
გაყიდვა	-	-
31 დეკემბერი 2025	**104,538**	**104,538**
დაგროვილი ცვეთა		
31 დეკემბერი 2023	**(92,720)**	**(92,720)**
ცვეთის ხარჯი	(2,759)	(2,759)
გაყიდული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	-
31 დეკემბერი 2024	**(95,480)**	**(95,480)**
ცვეთის ხარჯი	(2,083)	(2,083)
გაყიდული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	-
31 დეკემბერი 2025	**(97,563)**	**(97,563)**
საბალანსო ღირებულება		
31 დეკემბერი 2023	**4,413**	**4,413**
31 დეკემბერი 2024	**5,554**	**5,554**
31 დეკემბერი 2025	**6,975**	**6,975**

15. მიღებული სესხები

მიღებული სესხები	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
ფიზიკური პირებისგან მიღებული გრძელვადიანი სესხები	3,540,811	3,562,371
სულ გრძელვადიანი სესხები	**3,540,811**	**3,562,371**
ფიზიკური პირებისგან მიღებული მოკლევადიანი სესხები	-	-
სულ სესხები	**3,540,811**	**3,562,371**

სესხის გამცემი	ვალუტა	კონვერტირებადი	საბოლოო თარიღი	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
ფ/პ თამარ მარშანია	დოლარი	კი	12/31/2027	1,940,811	1,939,917

ფ/პ თამარ მარშანია	ლარი	კი	12/31/2027	1,600,000	1,600,000
ფ/პ ლია ენუქიძე	დოლარი	არა	12/31/2025	-	22,454
სულ				**3,540,811**	**3,562,371**

31 დეკემბერი 2025 წლის მდგომარეობით, სესხების საერთო ნაშთი შეადგენდა 3,540,811 ლარს (2024: 3,562,371 ლარი), საიდანაც 3,540,811 ლარი (2024: 3,562,371 ლარი) წარმოადგენს აქციონერებისგან მიღებულ კონვერტირებად სესხებს. ხელშეკრულების თანახმად, კომპანიას უსათუოდ მოეთხოვება აღნიშნული სესხების ნაშთის აქციებში გარდაქმნა მათი მინიჭებული ვადის დადგომისთანავე ან საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, რომელიც უფრო ადრე დადგება.
პროცენტის დარიცხვა ხდება ხელშეკრულებებით განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით, ყოველთვიური გადახდის პირობებით. 31 დეკემბერი 2025 წელს პროცენტის ხარჯი შეადგენდა 351,837 ლარს (2024: 366,494 ლარი)

16. ფინანსური რისკები

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობისის ფარგლებში მისო დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი: საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე მეორე მხარისთვის ფინანსურ ზარალს გამოიწვევს ვალდებულების შეუსრულებლობით. მისოს მაქსიმალური გავლენა საკრედიტო რისკთან უდრის მისი ფულადი სახსრების (გარდა ფულადი სახსრებისა), გაცემული სესხების, მისაღები და წარმოებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებას.
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომელიც მისოს შეიძლება საჭიროების შემთხვევაში არ ჰქონდეს, ან ვერ შეძლოს ფულადი სახსრების შეგროვება და შედეგად ვერ შეძლოს დამდგარი ფინანსური ვალდებულებების გადახდა.
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ მისოს ღირებულება შეიცვლება რეალური ღირებულების ან მომავალი ფულადი ნაკადების თვალსაზრისით, საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად. ძირითადად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ექვემდებარება ორი რისკის კომპონენტს:
  - საპროცენტო რისკი
  - სავალუტო რისკი

რისკების მართვას ახორციელებს კომპანიის მენეჯმენტი, კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად.
კომპანიას არ აქვს ფორმალიზებული რისკების მართვის პოლიტიკა და მუშაობს მის განვითარებაზე მისოს რისკის მართვა ხორციელდება ფინანსური რისკების, საოპერაციო რისკების და სამართლებრივი რისკების გათვალისწინებით. ფინანსური რისკების დადგენის ძირითად ამოცანას წარმოადგენს რისკის ლიმიტების დადგენა და რისკის დონის შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის ფუნქციები მიზნად ისახავს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სათანადო ფუნქციონირებას ოპერატიული და სამართლებრივი რისკების მინიმიზაციის მიზნით.

მისო-ს პორტფელი მთლიანად შედგება ადგილობრივ კლიენტებზე გაცემული სესხებისაგან და შესაბამისად მისო-მ დანერგა პოლიტიკა და პროცედურები საკრედიტო რისკის შეფასებასთან დაკავშირებით. კომპანია იყენებს ზარალის კოეფიციენტის მეთოდს

საკრედიტო რისკი და მისი მართვა

გაცემული სესხების გაუფასურების ხარისხის დასადგენად მისო იყენებს 3 ეტაპიან მოდელს. აღნიშნული მოდელის მიხედვით გაცემული სესხების თავდაპირველი აღიარების შემდგომ ხდება სესხების გაუფასურების შეფასება.

- ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული, ხვდება პირველ კატეგორიაში და შემდგომ მუდმივად ხდება მასზე დაკვირვება და მონიტორინგი.

- თუ თავდაპირველი აღიარების შემდეგ შეინიშნება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი/არსებითი ზრდა, მსგავსი სესხები გადადის მეორე კატეგორიაში, მაგრამ ავტომატურად არ იგულისხმება, რომ უფასურდება საკრედიტო რისკით.
- თუ ფინანასური ინსტრუმენტი გაუფასურებულია საკრედიტო რისკით, ავტომატურად ხვდება მესამე კატეგორიაში.
- პირველ კატეგორიაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ხდება 12 თვიანი პერიოდის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის წილით ფინანსური ინსტრუმენტის მთლიანი ვადის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში. მეორე და მესამე კატეგორიაში მყოფი ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები ფასდება ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადებთან მიმართების საფუძველზე.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა წარმოადგენს მისოს პოლიტიკას ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურებაზე.

ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3
თავდაპირველი აღიარება	თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა	საკრედიტო რისკით გაუფასურებული აქტივები
12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო	მთლიანი სასიცოცხლო ვადის საკრედიტო დანაკარგები	მთლიანი სასიცოცხლო ვადის საკრედიტო დანაკარგები

მისო მიიჩნევს, რომ ფინანსური აქტივები ექვემდებარება საკრედიტო რისკით გაუფასურებას მაშინ, როდესაც ინსტრუმენტის დაფარვის ვადა გადაცილებულია 90 და მეტი დღით. მიუხედავად იმისა, რომ, მისოს მიერ გაცემული ყველა სესხი უზრუნველყოფილია, საკრედიტო დანაკარგების შეფასებისას არ გაითვალისწინება უზრუნველყოფის საგნების ღირებულება და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება ქვემოთ მოცემული მატრიცის მიხედვით:

ვაგადაგაცილების დღეები	2025		2024	
	ლარი	დოლარი	ლარი	დოლარი
მიმდინარე	4.45%	13.42%	5.11%	14%
1-30 ვადაგადაცილება	14.38%	20.08%	10.13%	21.43%
31-60 ვადაგადაცილება	38.95%	33.22%	36.03%	44.42%
61-90 ვადაგადაცილება	34.92%	33.05%	34.97%	33.05%
91-180 ვადაგადაცილება	51.77%	52.59%	49.46%	52.59%
180 და მეტი ვადაგადაცილება	64.26%	70.21%	58.09%	68.36%

ფინანსური აქტივები, რომელთა დაფარვის ვადაც არ არის ვადაგადაცილებული და კლასიფიცირებული როგორც მიმდინარე, მიიჩნევა როგორც პირველ ეტაპში მყოფი. ფინანსური აქტივები, რომელთა დაფარვის ვადა გადაცილებულია 180 და მეტი დღით, მიჩნეულია როგორც მესამე ეტაპში მყოფი. ხოლო სხვა დანარჩენი სესხები კლასიფიცირებულია მეორე ეტაპში.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის კოეფიციენტების გაანგარიშებისას, მისო ხელმძღვანელობს წარსული გამოცდილებით და სტატისტიკური მონაცემებით, რომლებიც დაკორექტირებულია ეკონომიკური ფაქტორებით. უზრუნველყოფის განაკვეთები ყოველწლიურად განახლებადია საანგარიშო პერიოდში გაკეთებული გამოთვლების და დამატებით შეტანილი სტატისტიკის საფუძველზე.

მისო ჩამოწერს ფინანსურ აქტივს, მთლიანად ან ნაწილობრივ, როდესაც ამოწურავს აღმდგენ ღონისძიებებს და ჩათვლის, რომ აღარ არსებობს აქტივის აღდგენის მოლოდინი. ფინანსური აქტივის აღდგენის მოლოდინი აღარ არსებობს თუ: ა) წყდება იძულებითი აღსრულების ღონისძიებები; ბ) როდესაც მისოს აღდგენის მეთოდი არის

უზრუნველყოფილი ქონების ამოღება და უზრუნველყოფილი ქონების ღირებულება არის ისეთი, რომ არ არის აქტივის სრული აღდგენის გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივების მოდიფიკაცია

არის შემთხვევები, როდესაც კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე, მისო ცვლის კლიენტებზე გაცემული სესხების პირობებს. აღნიშნული სახის რესტრუქტურიზაცია გულისხმობს კლიენტებისთვის გადახდების ვადის გახანგრძლივებას, გადასახდელი ჯარიმების პატიებას და ა.შ. აღნიშნული პოლიტიკა დაფუძნებულია იმ პრაქტიკაზე, რომ დიდი ალბათობით მოხდება გაცემული სესხების მიღება. მისოს მენეჯმენტის მიერ აღნიშნული მიდგომები მუდმივად არის გადახედვის რეჟიმში და მორგებულია კომპანიის ინტერესებს.

საბალანსო აქტივებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის ზემოქმედება შემდგომია:

31 დეკემბერი 2025	შენიშვნა	მიმდინარე	1-30	31-60	61-90	91-180	180 და მეტი
ფული ბანკში	12	456,434	-	-	-	-	-
ვადიანი დეპოზიტები	13	-	-	-	-	-	-
გაცემული სესხები:	11						
ეტაპი 1		2,735,776	-	-	-	-	-
ეტაპი 2		-	114,485	8,391	-	182,137	-
ეტაპი 3		-	-	-	-	-	621,178
სულ		**3,192,210**	**114,485**	**8,391**	**-**	**182,137**	**621,178**

31 დეკემბერი 2024	შენიშვნა	მიმდინარე	1-30	31-60	61-90	91-180	180 და მეტი
ფული ბანკში	12	579,854					
ვადიანი დეპოზიტები	13	1,164,822	-	-	-	-	-
გაცემული სესხები:	11						
ეტაპი 1		2,324,090	-	-	-	-	-
ეტაპი 2		-	223,951	139,114	101,103	117,254	
ეტაპი 3		-	-	-	-	-	622,243
სულ		**4,068,766**	**223,951**	**139,114**	**101,103**	**117,254**	**622,243**

მისო განსაზღვრავს საკრედიტო რისკის დონეს, მსესხებლებთან მიმართებაში მიღებული რისკის ოდენობებზე შეზღუდვების დაწესებით. მენეჯმენტის მიერ რეგულარულად მტკიცდება საკრედიტო რისკის დონის შეზღუდვები. ასეთი რისკები კონტროლდება და ექვემდებარება ყოველწლიურ ან უფრო ხშირ განხილვებს.

მისოს მენეჯმენტი მიმოიხილავს გაცემული სესხების პორტფელს, ანალიზს და ადევნებს თვალყურს ნაშთებს.

საბაზრო რისკები

საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციიდან (ა) უცხოურ ვალუტაში, და (ბ) პროცენტის მატარებელი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც ექვემდებარება ზოგადი და სპეციფიკური მოძრაობის გავლენას. მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს, რომელთა მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად.

სავალუტო რისკი

კომპანია ექვემდებარება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რყევების გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების ნაკადებზე. სავალუტო რისკის მიმართ, მენეჯმენტი ახორციელებს მუდმივ კონტროლს.

	2025 წლის 31 დეკემბერი		
	მონეტარული	მონეტარული ფინანსური	წმინდა პოზიცია

	ფინანსური აქტივები	ვალდებულებები	
დოლარი	1,965,117	(1,940,845)	24,272
ევრო	902	(902)	-
სულ	**1,966,019**	**(1,941,747)**	**24,272**

	2024 წლის 31 დეკემბერი		
	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა პოზიცია
დოლარი	1,962,393	(1,962,393)	-
ევრო	-	-	-
სულ	**1,962,393**	**(1,962,393)**	

ზემოთმოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ მონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებს. არამონეტარული მუხლები არ მიიჩნევა სავალუტო რისკების მატარებლად.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს მოგების ან ზარალის და კაპიტალის სენსიტიურობას საანგარიშო პერიოდის ბოლოს გაცვლითი კურსის ცვლილების მიმართ, ყველა სხვა ცვლადის მუდმივობის პირობებში:

	2025
	გავლენა მოგება/ზარალზე
10% დოლარის გამყარება/გაუფასურება	2,427
10% ევროს გამყარება/გაუფასურება	-

	2024
	გავლენა მოგება/ზარალზე
10% დოლარის გამყარება/გაუფასურება	-
10% ევროს გამყარება/გაუფასურება	-

კომპანია ექვემდებარება უცხოური ვალუტის რისკს, რომელიც წარმოიქმნება ფინანსური აქტივებიდან და ვალდებულებებიდან, რომლებიც დენომინირებულია ვალუტაში, გარდა მისი ფუნქციური ვალუტის (ლარი). თუმცა, კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ბალანსის შენარჩუნებას, რაც ამცირებს ვალუტის კურსის რყევებზე წმინდა ზემოქმედებას.

შედეგად, ანგარიშგების თარიღისთვის ლარის გაცვლითი კურსის 10%-ით გამყარება ან გაუფასურება უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში არსებით გავლენას არ მოახდენს კომპანიის მოგებაზე ან კაპიტალზე, რადგან უცხოურ ვალუტაში აქტივების და ვალდებულებების საკურსო ცვლილებები გაქვითავენ ერთმანეთს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. მისოზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ პოზიციაზე და ფულადი სახსრების მოძრაობაზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთების დონეებში მომხდარი ცვლილებები. ამგვარი ცვლილებების შედეგად საპროცენტო მარჟები შეიძლება გაიზარდოს, მაგრამ მოულოდნელი მოვლენების შემთხვევაში შეიძლება შემცირდეს ან გამოიწვიოს ზარალი.

მისო ახორციელებს თავისი ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების მონიტორინგს. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია საპროცენტო განაკვეთები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე

ფინანსური აქტივების სამართლიან ღირებულებაზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენა შეფასდა, როგორც უმნიშვნელო.

წლიურ %-ში	2025		2024	
	ლარი	აშშ დოლარი	ლარი	აშშ დოლარი
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	-	1.65%	-	1.65%
ვადიანი დეპოზიტები ბანკში	-	1.95%	-	1.95%
გაცემული სესხები	10%-24%	14%-24%	10%-24%	14%-24%
ფინანსური ვალდებულებები	10%	10%	10%	10%
მიღებული სესხები	-	1.65%	-	1.65%

ლიკვიდობის რისკი ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდობის რისკი ეხება სესხების გადინების და სხვა ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა. აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადებისა და საპროცენტო განაკვეთების დამთხვევა ან დარეგულირებული დაუმთხვევლობა არსებითად მნიშვნელოვანია ფინანსური ინსტიტუტების მენეჯმენტისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, მისო აწარმოებს კლიენტის და მისოს ოპერაციებთან დაკავშირებული მომავალი მოსალოდნელი ფულადი სახსრების ყოველდღიურ მონიტორინგს, რაც არის აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილი.

ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	საშვ. შეწონილი ეფექტური საპრ. განაკვეთი	1 წლამდე	1 წლიდან 3 წლამდე	3 წლიდან 5 წლამდე	5 წლიდან	სულ
ფინანსური აქტივები						
ვადიანი დეპოზიტები	0%	-	-	-	-	-
ფული ბანკში	0.3%	456,434	-	-	-	456,434
ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით	7.5%	-	-	-	1,136,244	1,136,244
გაცემული სესხები (დარეზერვებამდე)	21.1%	377,748	62,958	62,958	3,166,633	3,670,296
ფული სალაროში	-	24,618	-	-	-	24,618
სულ ფინანსური აქტივები		**858,800**	**62,958**	**62,958**	**4,302,877**	**5,287,592**
ფინანსური ვალდებულებები						
მიღებული სესხები	10%	-	-	3,540,811	-	3,540,811
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	56,427		-	-	56,427
სულ ფინანსური ვალდებულები	-	**56,427**	-	**3,540,811**	-	3,597,238
ლიკვიდურობის პოზიცია		**802,373**	**62,958**	**(3,477,853)**	**4,302,877**	**1,690,354**
აკუმულირებული ლიკვიდურობა		**802,373**	**865,331**	**(2,612,522)**	**1,690,354**	

ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	საშვ. შეწონილი ეფექტური საპრ. განაკვეთი	1 წლამდე	1 წლიდან 3 წლამდე	3 წლიდან 5 წლამდე	5 წლიდან	სულ
ფინანსური აქტივები						
ვადიანი დეპოზიტები	1.65%	-	1,164,822	-	-	1,164,822
ფული ბანკში	0.3%	579,854	-	-	-	579,854
გაცემული სესხები (დარეზერვებამდე)	20.7%	-	19,463	136,284	3,372,009	3,527,756
ფული სალაროში		54,452	-	-	-	54,452
სულ ფინანსური აქტივები		**634,306**	**1,184,285**	**136,284**	**3,372,009**	**5,326,884**
ფინანსური ვალდებულებები						
მიღებული სესხები	10%	-	-	3,562,371	-	3,562,371
სხვა ფინანსური ვალდებულებები		62,572	-	-	-	62,572
სულ ფინანსური ვალდებულები		**62,572**	**-**	**3,562,371**	**-**	**3,624,944**
ლიკვიდურობის პოზიცია		**571,734**	**1,184,285**	**(3,426,08)**	**3,372,009**	**1,701,941**
აკუმულირებული ლიკვიდურობა		**571,734**	**1,756,019**	**(1,670,06)**	**1,701,941**	

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი არის რისკი, რომელიც წარმოიქმნება ადამიანური შეცდომებით, თაღლითობებით ან გარე მოვლენებით. როდესაც კონტროლები არ მუშაობს, საოპერაციო რისკებმა შეიძლება ზიანი მიაყენონ რეპუტაციას, გამოიწვიოს სამართლებრივი შედეგები, ან ფინანსური ზარალი. კომპანია ამცირებს საოპერაციო რისკს, ძირითადად, მენეჯმენტის უშუალო მონაწილეობით კომპანიის პროცესებსა და ოპერაციებში, მათ შორის, შეფასების, ავტორიზაციისა და სხვა პროცედურების ჩათვლით.

17. პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებები:

	2025	2024
1 წლის განმავლობაში	20,000	24,000
სულ სამომავლო მინიმალური საიჯარო გადასახდელები	**20,000**	**24,000**

მისო ქირაობს საოფისე ფართს თბილისში, ქავთარაძის 19 ნომერში. აღნიშნული ფართის იჯარის ხელშეკრულების ვადა ამოწურული იყო 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, თუმცა საიჯარო ფართის საკუთრებასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების გამო ვერ მოხერხდა განახლებული საიჯარო ხელშეკრულების გაფორმება. მიუხედავად ამისა, მისომ გააგრძელა საიჯარო ხარჯის დარიცხვა და შესაბამისი ვალდებულების აღიარება გასულ პერიოდში მოქმედი საიჯარო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

ასევე აღსანიშნავია ის ფაქრი, რომ ხსენებული საოფისე ფართის მეიჯარე გასულ პერიოდში იყო, მისოს დაკავშირებული მხარე, შესაბამისად ფართთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების გარკვევის შემდეგ მისოს შესაძლოა ჩამოეწეროს 2025 წლის განმავლობაში ფართის იჯარიდან წარმოშობილი ვალდებულება ან სრულად ან ნაწილობრი დაეკისროს მისი გადახდა.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება არის ფასი რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან გადაიხდება საიმედოდ, რომ მოხდეს ვალდებულების დაფარვა კანონიერი გარიგების საშუალებით ბაზრის მონაწილეებს შორის სამართლიანი ღირებულების დადგენის თარიღისას.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება მისოს მიერ გამოითვლება საბაზრო ინფორმაციის, მისი არსებობის შემთხვევაში, და შესაბამისი შეფასების მეთოდების საფუძველზე. თუმცა საბაზრო ინფორმაციის ინტერპრეტაციისთვის, სამართლიანი ღირებულების დადგენის მიზნით აუცილებელია პროფესიული მსჯელობის გამოყენება. საქართველო აგრძელებს განვითარებადი ბაზრის მახასიათებლების გამოვლენას და ეკონომიკური პირობები ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კვოტირება შეიძლება იყოს მოძველებული და ასახავდეს გაყიდვის ტრანზაქციებს დაბალ ფასში და არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას.

მისო იყენებს შეფასების მეთოდების შემდეგ იერარქიულ სტრუქტურას ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებისა და განსაზღვრისთვის:

დონე 1: აქტიურ ბაზარზე მიმოქცევაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება (ისეთი, როგორიცაა საჯარო გაყიდვაში არსებული წარმოებული ინსტრუმენტები, სავაჭრო და გაყიდვისთვის განკუთვნილი ფასიანი ქაღალდები) დაფუძნებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს ბაზრის კვოტირებულ ფასებზე. ამ ინსტრუმენტებს მოიცავს დონე 1.

დონე 2: იმ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც არ არის მიმოქცევაში აქტიურ ბაზარზე (მაგალითად: არასაბირჟო წარმოებული ინსტრუმენტები) დგინდება იმ შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს და რაც

შეიძლება ნაკლებად ეყრდნობა კომპანიის სპეციფიკის შეფასებას. თუ არსებობს ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი, ინსტრუმენტი მიეკუთვნება დონე 2-ს.

დონე 3: იმ შემთხვევაში, თუ ერთი ან მეტი მნიშვნელოვანი მონაცემი არ წარმოადგენს დაკვირვებადი ბაზრის მაჩვენებელს, ინსტრუმენტი მიეკუთვნება დონე 3-ს. ეს ეხება ბირჟაზე არაკვოტირებულ ფასიან ქაღალდებს.

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი გვიჩვენებს სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს სამართლიანი ღირებულების წარმოდგენილი იერარქიის დონის მიხედვით:

	2025			
	Level 1	**Level 2**	**Level 3**	**Total**
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	481,052	-	-	481,052
ვადიანი დეპოზიდი ბანკში	-	-	-	-
ფინანსური აქტივები	-	1,136,244	-	1,136,244
ამორტიზირებული ღირებულებით გაცემული სესხები	-	-	3,021,806	3,021,806
სულ ფინანსური აქტივები	**481,052**	**1,136,244**	**3,021,806**	**4,639,102**
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	-	-	3,540,811	3,540,811
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	56,427	-	56,427
სულ ფინანსური ვალდებულებები	**-**	**56,427**	**3,540,811**	**3,597,238**

	2024			
	Level 1	**Level 2**	**Level 3**	**Total**
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	634,306	-	-	634,306
ვადიანი დეპოზიდი ბანკში	-	1,164,822	-	1,164,822
გაცემული სესხები	-	-	2,861,034	2,861,034
სულ ფინანსური აქტივები	**634,306**	**1,164,822**	**2,861,034**	**4,660,162**
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	-	-	3,562,371	3,562,371

სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	62,572	-	62,572
სულ ფინანსური ვალდებულებები	**-**	**62,572**	**3,562,371**	**3,624,943**

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებები, რომელიც აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით. საბალანსო ღირებულებების კლასების მიხედვით შედარება ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებებთან, რომელიც არაა აღრიცხული სამართლიანი ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემულია ქვემოთ ცხრილში. ცხრილი არ შეიცავს არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებას.

	2025		2024	
	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	481,052	481,052	634,306	634,306
ვადიანი დეპოზიტები	-	-	1,164,822	1,164,822
ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით	1,136,244	1,136,244	-	-
გაცემული სესხები	3,021,806	3,021,806	2,861,034	2,861,034
სულ ფინანსური აქტივები აღრიცხული ამორტიზებული ღირებულებით	**4,639,102**	**4,639,102**	**4,660,162**	**4,660,162**
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	3,540,811	3,540,811	3,562,371	3,562,371
სხვა ფინანსური ვალდებულებები	56,427	56,427	62,572	62,572
სულ ფინანსური აქტივები აღრიცხული ამორტიზებული ღირებულებით	**3,597,238**	**3,597,238**	**3,624,944**	**3,624,944**

18. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად განიხილებიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან ან ერთ მხარეს აქვს მეორის კონტროლის შესაძლებლობა ან ერთ მხარეს შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარის ფინანსურ თუ საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. სავარაუდო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

	2025	2024
ტრანზაქციები:		
საპროცენტო შემოსავალი		
-სხვა დაკავშირებული მხარეები	8,741	8,404
საპროცენტო ხარჯი		
- მფლობელები	349,561	353,717
-სხვა დაკავშირებული მხარეები	2,276	12,777
იჯარის ხარჯი		
-სხვა დაკავშირებული მხარეები	20,000	24,000

ნაშთები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2025	2024
გაცემული სესხები		
- სხვა დაკავშირებული მხარეები	85,666	85,151
მიღებული სესხები		

- მფლობელები	3,540,811	3,539,917
- სხვა დაკავშირებული მხარეები	-	22,454

ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება შემდეგია:

	2025	2024
მოკლევადიანი ანაზღაურება – ხელფასები და ბონუსები	35,720	33,100
სულ	**35,720**	**33,100**

19. კაპიტალის მართვა

ეროვნული ბანკის 2018 წლის 5 ივლისის N143/04 ბრძანების შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს მიკროსაფინანსოს მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის მინიმუმ 500,000 ლარს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 1,000,000 ლარს 2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით.

2025 წლის 31 დეკემბრისა და 2024 წლის 31 დეკემბრისთვის მიკროსაფინანსო შესაბამისობაში იყო მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნებთან. კანონმდებლობის შესაბამისად, საზედამხედველო კაპიტალი გამოითვლება შემდეგნაირად: წმინდა კაპიტალს დამატებული სუბორდინირებული ვალი და გამოკლებული არამატერიალური აქტივები.

მისოს მთავარი ამოცანა კაპიტალის მართვისას შეასრულოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი საზედამხედველო კაპიტალის (საკუთარი კაპიტალი და სუბორდინირებული სესხი) მოთხოვნები და სხვა მოთხოვნები. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კაპიტალის კოეფიციენტებთან შესაბამისობა ხორციელდება ყოველთვიურად.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კაპიტალის მართვის მოთხოვნების შესაბამისად, მისო ვალდებულია დააკმაყოფილოს შემდეგი კოეფიციენტები:

კაპიტალის კოეფიციენტი არანაკლებ (საზედამხედველო კაპიტალი/სულ აქტივები)	18%
ლიკვიდობის კოეფიციენტი არანაკლებ (აქტივები/ვალდებულებები)	18%
ინვესტიციების კოეფიციენტი არაუმეტეს (მონაწილეობა სხვა საზოგადოებებში/საწესდებო კაპიტალი)	15%
ქონებრივი ინვესტიციის კოეფიციენტი არაუმეტეს ((ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება+მონაწილეობა სხვა საზოგადოებებში)/სულ კაპიტალი)	40%
ინსაიდერების საკრედიტო კოეფიციენტი არაუმეტეს (დაკ. მხარეებზე გაც. სესხები/სულ სესხები)	15%
დაგირავებული აქტივების კოეფიციენტი არანაკლებ (დაგირავებული აქტივები/სულ აქტივები)	90%

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ხსენებული კოეფიციენტების კავშირი ეროვნულ ბანკში წარდგენილ არააუდირებულ და ფასს-ის მიხედვით აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებთან.

კოეფიციენტი	ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული ზღვრული %	არააუდირებული (ეროვნულ ბანკში წარდგენილი)	აუდირებული (ფასს-ის მიხედვით)
კაპიტალის კოეფიციენტი	არანაკლებ 18%	100%	99%
ლიკვიდობის კოეფიციენტი	არანაკლებ 18%	1991%	1618%
ქონებრივი ინვესტიციის კოეფიციენტი	არაუმეტეს 40%	1%	1%
ინვესტიციების კოეფიციენტი	არაუმეტეს 15%	0%	0%
ინსაიდერების საკრედიტო კოეფიციენტი	არაუმეტეს 15%	2%	3%
დაგირავებული აქტივების კოეფიციენტი	არაუმეტეს 90%	0%	0%

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მისო აკმაყოფილებდა ყველა ზემოთ ჩამოთვლილ კოეფიციენტებზე მოთხოვნას.

20. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს.